

მარაბდა-კარწახის რკინიგზა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მმართველობის ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

31 დეკემბერი 2019

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.....	1
კომპანიის განვითარების გეგმები.....	3
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	4
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	4
კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	4
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	5
ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	5

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზის აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2020 წლის 25 სექტემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს მარაბდა-კარნახის რკინიგზის აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2020 წლის 25 სექტემბერი





კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. საზოგადოება დაფუძნდა 2007 წელს, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით (დამფუძნებელი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო). მისი იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, 0112, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საქართველოს ტერიტორიაზე, ბაქო-თბილისი-ყარსის შემაერთებელი ახალი სარკინიგზო ხაზის მარაბდა - თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე (კარწახი) პროექტის რეალიზაცია, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სარკინიგზო ქსელებს. რკინიგზის მშენებლობა, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია დაიწყო 2011 წელს, მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლიანდაგი მთლიანად გაყვანილია და მიმდინარეობს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. პროექტის დასრულება იგეგმებოდა 2020 წლის ბოლოს, მაგრამ პანდემიით გამოწვეული მიზეზებიდან გამომდინარე, აღნიშნული ვადა დაზუსტდება ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს მორიგ სხდომაზე. ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი ხორციელდება საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის გაფორმებული შემდეგი ხელშეკრულებების ფარგლებში: 1) შეთანხმება „ბაქო-თბილისი-ყარსის“ ახალი სარკინიგზო ხაზის პროექტის რეალიზების ფარგლებში მარაბდა-თურქეთის რესპ. საზღვრამდე (კარწახი) სარკ. მონაკვეთის ფინანსირების, პროექტირების, მშენებლობის, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პირობებისა და პრინციპების შესახებ, რომელიც გაფორმებულია საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობებს შორის; 2) შეთანხმება ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია საქართველოს, თურქეთის რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობების წარმომადგენლების მიერ; და 3) შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოში „ბაქო-თბილისი-ყარსის“ ახალი სარკინიგზო ხაზის - „ახალქალაქი-ყარსის“ მონაკვეთზე დაგეგმილი სარკინიგზო გვირაბის მშენებლობის ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც გაფორმებულია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის.

პროექტი ხორციელდება აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ ხელშეკრულებები (გენერალური კონტრაქტი) გაფორმებული აქვს შპს „აზერინშატსერვისთან“, რომელიც აწარმოებს ახალქალაქი-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის (გვირაბის ჩათვლით) სამშენებლო სამუშაოებს და დსს „აზერბაიჯანის რკინიგზასთან“, რომელიც მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო მონაკვეთზე ახორციელებს სამშენებლო, სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. ასევე 2012 წელს შპს „დემირიოლსერვისთან“ გაფორმებული იყო ხელშეკრულება მდინარე კირბულახზე სარკინიგზო ხიდის მშენებლობის შესახებ, რომელიც დასრულებულია.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესრულებულია დაგეგმილი სამუშაოების დაახლოებით 74 %.



შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ შექმნილია ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის უზრუნველსაყოფად, რაც მისი ძირითადი საქმიანობაა. პროექტის დასრულების შემდეგ საწარმო დარჩება ქონების მესაკუთრედ, ხოლო სარკინიგზო ინფრასტრუქტურა საექსპლუატაციოდ გადაეცემა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის რკინიგზების მიერ შექმნილ „ერთობლივ საწარმოს“.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

სარკინიგზო მონაკვეთი პროექტის მიხედვით გათვლილია წელიწადში 5 მლნ. ტონა ტვირთის გამტარუნარიანობაზე. 2017 წელს ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, საწარმოს დაკვეთით ავსტრიულმა კომპანია ILF-მა ჩაატარა კვლევა მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით, სადაც მათი დასკვნის იმპლემენტაცია უზრუნველყოფს სარკინიგზო უბანზე მოძრავი შემადგენლობების მაქსიმალურად უსაფრთხო გადაადგილებას ყველა შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალი.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

2011 წელს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და მაღალი ტექნოლოგიების სამინისტროსგან შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ გამოყოფილი აქვს საკრედიტო ხაზი 775 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, რომლის დანიშნულებაც პროექტის კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება. საკრედიტო ხაზი იყოფა ორ ნაწილად: 1) 200 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით ტრანში „ა“ 1%-იანი განაკვეთით და 575 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის ტრანში „ბ“ 5%-იანი განაკვეთით.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობის დასრულებამდე სამი თვით ადრე საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის რკინიგზების მიერ შეიქმნება „ერთობლივი საწარმო“, რომელზეც მოხდება სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მართვაში გადაცემა. ვინაიდან სარკინიგზო მონაკვეთის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ შემოსავლების მიღება და სესხის დაფარვის ვალდებულება გადადის „ერთობლივი საწარმოზე“, შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ არ ახდენს სესხების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. პროექტის მმართველი ორგანოს, ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი კომპეტენციაა ყოველ ექვს თვეში ერთხელ სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვის ოდენობის განსაზღვრა, კომპანიის წმინდა მოგების ოდენობიდან გამომდინარე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ აქვს დაგროვილი ზარალი 933,37 ათას ლარამდე ოდენობით (ზუსტი მონაცემები იხილეთ შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ 2019



წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლიურ აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებაში). მნიშვნელოვან წილს შეადგენს კურსთა შორის სხვაობა (გასული წლების განმავლობაში ლარის კურსის მკვეთრი ცვალებადობით) და ასევე შედგება ადმინისტრაციული ხარჯებისა და სესხის პროცენტის არაკაპიტალიზებადი ნაწილისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს, მოცემული პერიოდისათვის, გააჩნია დაგროვილი საგადასახადო აქტივი დაახლოებით 97,917 ათასი ლარის ოდენობით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ პროექტის დასრულების შემდეგ არ განახორციელებს სარკინიგზო მონაკვეთის ოპერირებას (აღნიშნული გარემოება არ შედის მის ფუნქციებში საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე), კომპანია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებას ახორციელებს მათი ისტორიული ღირებულებით.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობიდან მიღებული სესხი ბალანსზე აღრიცხულია ნომინალური თანხით და მისი საბალანსო ღირებულება გაზრდილია პროცენტის დანარიცხით.

მშენებლობის პროცესში საწარმოს ბალანსზე ირიცხება დაუმთავრებელი მშენებლობა, რომლის ლიკვიდურობაც მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პროექტის დროში განგრძობითობიდან გამომდინარე. კომპანიის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებულია ტესტი დაუმთავრებელი მშენებლობის გაუფასურების შესახებ, სადაც ანაზღაურებად ღირებულებად განისაზღვრა სავარაუდო ფულადი ნაკადები მომავალი ათი წლის განმავლობაში. მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდეები აღებულია საქართველოში მოქმედი სარკინიგზო ტარიფებისა და ტვირთბრუნვის საშუალო მოცულობების მიხედვით მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის წლიური ტვირთბრუნვის მოცულობის (5 მლნ ტ/წ) ჭრილში. გაუფასურების ტესტის შედეგმა აჩვენა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობა გაუფასურებული არ არის.

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ გენერალური კონტრაქტორებისათვის გადახდილი აქვს ავანსები, ღს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტიების საფუძველზე. კომპანიას ხსენებული ბანკიდან ასევე მიღებული აქვს ხელშეკრულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლის საბანკო გარანტიები სახელშეკრულებო ღირებულების 10-10%-ის ოდენობით (გარდა შპს „აზერინშაატსერვისის“ ხელშეკრულების ხარისხის კონტროლის საბანკო გარანტიისა, რომლის ოდენობაც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 15%-ს).

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

პროექტის საერთაშორისო მნიშვნელობიდან და არსებული სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებებიდან გამომდინარე, კომპანიის ლიკვიდურობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება და ასეთი სახის რისკები მომკალშიც არ შეინიშნება.

**შპს „მარაბდა-კარჭახის
რკინიგზა“**

თბილისი, 0112, აღმაშენებლის გამზ.150,
ტელ: (+995 32) 295-83-47, ფაქსი: 295-83-74
ელ.ფოსტა: info@mkkr.ge



**„MARABDA-KARTSAKHI
RAILWAY“ LLC**

150, Aghmashenebeli ave.0112, Tbilisi.
Phone (+995 32) 295-83-47, Fax: 295-83-74
E-mail: info@mkkr.ge

გთხოვთ, იხილეთ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კომპანიის მიერ მის წინაშე მდგარი ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს, მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის ძირითადი საქმიანობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად, დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონიურად არის წარმოდგენილი.

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

გოჩა ჩაგელიშვილი

ბუღალტერი

ირაკლი გოგია

დირექტორის თანაშემწე

საბა პოპიაშვილი

**შპს „მარაბდა-კარწახის
რკინიგზა“**

თბილისი, 0112, აღმაშენებლის გამზ.150,
ტელ: (+995 32) 295-83-47, ფაქსი: 295-83-74
ელ.ფოსტა: info@mkkr.ge



**„MARABDA-KARTSAKHI
RAILWAY“ LLC**

150, Aghmashenebeli ave.0112, Tbilisi.
Phone (+995 32) 295-83-47, Fax: 295-83-74
E-mail: info@mkkr.ge

გთხოვთ, იხილეთ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კომპანიის მიერ მის წინაშე მდგარი ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს, მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის ძირითადი საქმიანობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად, დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონიურად არის წარმოდგენილი.

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ბუღალტერი

დირექტორის თანაშემწე

გოჩა ჩაგელიშვილი

ირაკლი გოგია

საბა პოპიაშვილი

**მარაბდა-კარწახის რკინიგზა
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2019

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა _____	1-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება _____	5
მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება _____	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება _____	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება _____	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები _____	9-37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-9 შენიშვნაში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას არ შეუფასებია მისი სესხები და საკრედიტო ვალდებულებები, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 2,359,214 ათასი ლარის ოდენობით (2018: 2,106,709 ათასი ლარის ოდენობით) ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ფასს 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან ამ გადახრის გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე განსაზღვრული არ არის. ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო არსებითი გავლენის გამო, ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე შესაბამის ციფრთან მიმართებით.

2008 წელს, დამფუძნებელმა კომპანიას, კაპიტალში შენატანის სახით, გადასცა 82,936 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები. გადმოცემის შემდეგ, კომპანიამ განახორციელა ზოგიერთი ძირითადი საშუალებების დემონტაჟი და კონტრაქტორებს შეუთანხმდა, რომ დემონტირებული ძირითადი საშუალებები გამოყენებინათ კონტრაქტით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში. ბასს 16 ის მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიას უნდა განეხორციელებინა დემონტირებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა და მარაგებში ასახვა, ასევე უნდა შეეწყვიტა ცვეთის დარიცხვა ჩამოწერის თარიღიდან. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, კომპანიამ აღნიშნული აქტივები არ ჩამოწერა ძირითადი საშუალებებიდან და აგრძელებს ცვეთის დარიცხვას იმ აქტივებზე, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოყენებულა მშენებლობაში. აღნიშნული აქტივების მთლიანი ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 59,281 ათას ლარს (2018: 59,281 ათას ლარს), ხოლო დაგროვილი ცვეთა შედგენს 16,567 ათას ლარს (2018: 15,207 ათას ლარს). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ვინაიდან ზემოხსენებული ძირითადი საშუალებები შესაბამისი საგარანტიო პირობებით გადაცემული აქვთ კონტრაქტორებს, ჩვენ ვერ დავრწმუნდით მშენებლობისთვის გამოყენებული აქტივების ღირებულებაში, ასევე იმ აქტივების ღირებულებასა და რაოდენობაში, რომლებიც გამოუყენებელია და საჭიროებს მარაგებში ასახვას. შედეგად, ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, დავადგინოთ, რა ოდენობით არის შემცირებული სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება, გაუნაწილებელი მოგება და მარაგების ნაშთი. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე შესაბამის ციფრებთან მიმართებით.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირების გარეშე, გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ მე - 2 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენდა 933,370 ათას ლარს (2018: 750,861 ათას ლარს). ეს მოვლენები და სხვა პირობები მიუთითებს, რომ კომპანიის მიერ თავისი აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა, ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში, მნიშვნელოვანდ არის დამოკიდებული მენეჯმენტის იმ გეგმებზე, რომელიც განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მე - 2 განმარტებით შენიშვნაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2019 წლის მმართველობით ანგარიშში. სავარაუდოდ, მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. ასევე ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

29 ივლისი, 2020

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი : გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მარაბდა-კარნახის რკინიგზის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მარაბდა-კარნახის რკინიგზის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-9 შენიშვნაში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას არ შეუფასებია მისი სესხები და საკრედიტო ვალდებულებები, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 2,359,214 ათასი ლარის ოდენობით (2018: 2,106,709 ათასი ლარის ოდენობით) ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ფასს 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან ამ გადახრის გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე განსაზღვრული არ არის. ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო არსებითი გავლენის გამო, ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე შესაბამის ციფრთან მიმართებით.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

2008 წელს, დამფუძნებელმა კომპანიას, კაპიტალში შენატანის სახით, გადასცა 82,936 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები. გადმოცემის შემდეგ, კომპანიამ განახორციელა ზოგიერთი ძირითადი საშუალებების დემონტაჟი და კონტრაქტორებს შეუთანხმდა, რომ დემონტირებული ძირითადი საშუალებები გამოეყენებინათ კონტრაქტით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში. ბასს 16 ის მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიას უნდა განეხორციელებინა დემონტირებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა და მარაგებში ასახვა, ასევე უნდა შეეწყვიტა ცვეთის დარიცხვა ჩამოწერის თარიღიდან. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, კომპანიამ აღნიშნული აქტივები არ ჩამოწერა ძირითადი საშუალებებიდან და აგრძელებს ცვეთის დარიცხვას იმ აქტივებზე, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოყენებულა მშენებლობაში. აღნიშნული აქტივების მთლიანი ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 59,281 ათას ლარს (2018: 59,281 ათას ლარს), ხოლო დაგროვილი ცვეთა შედგენს 16,567 ათას ლარს (2018: 15,207 ათას ლარს). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ვინაიდან ზემოხსენებული ძირითადი საშუალებები შესაბამისი საგარანტიო პირობებით გადაცემული აქვთ კონტრაქტორებს, ჩვენ ვერ დავრწმუნდით მშენებლობისთვის გამოყენებული აქტივების ღირებულებაში, ასევე იმ აქტივების ღირებულებასა და რაოდენობაში, რომლებიც გამოუყენებელია და საჭიროებს მარაგებში ასახვას. შედეგად, ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, დავადგინოთ, რა ოდენობით არის შემცირებული სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება, გაუნაწილებელი მოგება და მარაგების ნაშთი. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე შესაბამისი ციფრებთან მიმართებით.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირების გარეშე, გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ მე - 2 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენდა 933,370 ათას ლარს (2018: 750,861 ათას ლარს). ეს მოვლენები და სხვა პირობები მიუთითებს, რომ კომპანიის მიერ თავისი აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა, ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში, მნიშვნელოვანდ არის დამოკიდებული მენეჯმენტის იმ გეგმებზე, რომელიც განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მე - 2 განმარტებით შენიშვნაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2019 წლის მმართველობით ანგარიშში. სავარაუდოდ, მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. ასევე ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.


კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

29 ივლისი, 2020

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი : გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia




შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

‘000 ლარი	გ/შ	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	5,478	3,224
მარაგები		10	10
მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)	6	97,917	108,644
ძირითადი საშუალებები	3	1,287,644	1,203,443
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	4	144,435	145,852
არამატერიალური აქტივები		2	2
სულ აქტივები		1,535,486	1,461,175
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	57,104	56,909
დამატებით შეტანილი კაპიტალი	7	29,532	29,532
აკუმულირებული ზარალი		(933,370)	(750,861)
სულ კაპიტალი		(846,734)	(664,420)
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		1,227	861
საგადასახადო ვალდებულებები	8	12,219	11,390
მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	4	9,560	6,635
მიღებული სესხები	9	2,359,214	2,106,709
სულ ვალდებულებები		2,382,220	2,125,595
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,535,486	1,461,175

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 29 ივლისს.

დირექტორის თანაშემწე	საბა პოპიაშვილი	_____
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	გოჩა ჩაგელიშვილი	_____
ბუღალტერი	ირაკლი გოგია	_____

შპს მარაბდა-კარნახის რკინიგზა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

‘000 ლარი	გ/მ	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	5,478	3,224
მარაგები		10	10
მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)	6	97,917	108,644
ძირითადი საშუალებები	3	1,287,644	1,203,443
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	4	144,435	145,852
არამატერიალური აქტივები		2	2
სულ აქტივები		1,535,486	1,461,175
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	57,104	56,909
დამატებით შეტანილი კაპიტალი	7	29,532	29,532
აკუმულირებული ზარალი		(933,370)	(750,861)
სულ კაპიტალი		(846,734)	(664,420)
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		1,227	861
საგადასახადო ვალდებულებები	8	12,219	11,390
მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	4	9,560	6,635
მიღებული სესხები	9	2,359,214	2,106,709
სულ ვალდებულებები		2,382,220	2,125,595
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,535,486	1,461,175

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 29 ივლისს.

დირექტორის თანაშემწე

საბა პოპიაშვილი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

გოჩა ჩაგელიშვილი

ბუღალტერი

ირაკლი გოგია

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

‘000 ლარი	გ/შ	2019	2018
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	10	(15,053)	(14,284)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	11	(4,337)	(3,893)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(1,633)	(1,582)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(534)	(607)
შედეგები საოპერაციო საქმიანობიდან		(21,557)	(20,366)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა სარგებელი/(ზარალი)	12	(151,764)	(67,638)
საპროცენტო ხარჯი	9	(9,252)	(10,965)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		64	(3,567)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)		(160,952)	(82,170)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		(182,509)	(102,536)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(182,509)	(102,536)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(182,509)	(102,536)

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 29 ივლისს.

დირექტორის თანაშემწე	საბა პოპიაშვილი	_____
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	გოჩა ჩაგელიშვილი	_____
ბუღალტერი	ირაკლი გოგია	_____

შპს მარაბდა-კარნახის რკინიგზა

მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

‘000 ლარი	გ/შ	2019	2018
გადასახადები, გარდა მოგების	10	(15,053)	(14,284)
გადასახადისა			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა	11	(4,337)	(3,893)
სარგებელი			
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(1,633)	(1,582)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(534)	(607)
შედგები საოპერაციო საქმიანობიდან		(21,557)	(20,366)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული	12	(151,764)	(67,638)
წმინდა სარგებელი/(ზარალი)			
საპროცენტო ხარჯი	9	(9,252)	(10,965)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		64	(3,567)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)		(160,952)	(82,170)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		(182,509)	(102,536)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(182,509)	(102,536)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის		(182,509)	(102,536)
განმავლობაში			

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 29 ივლისს.

დირექტორის თანაშემწე

საბა პოპიაშვილი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

გოჩა ჩაგელიშვილი

ბუღალტერი

ირაკლი გოგია

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

‘000 ლარი	გ/შ	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		53,404	29,532	(648,325)	(565,389)
წლის მოგება / (ზარალი)		-	-	(102,536)	(102,536)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	(102,536)	(102,536)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	7	3,505	-	-	3,505
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		56,909	29,532	(750,861)	(664,420)
წლის მოგება / (ზარალი)		-	-	(182,509)	(182,509)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	(182,509)	(182,509)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	7	195	-	-	195
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		57,104	29,532	(933,370)	(846,734)

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
 ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 29 ივლისს.

დირექტორის თანაშემწე	საბა პოპიაშვილი	_____
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	გოჩა ჩაგელიშვილი	_____
ბუღალტერი	ირაკლი გოგია	_____

შპს მარაბდა-კარნახის რკინიგზა
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

‘000 ლარი	გ/შ	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31					
დეკემბრის მდგომარეობით		53,404	29,532	(648,325)	(565,389)
წლის მოგება / (ზარალი)		-	-	(102,536)	(102,536)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	(102,536)	(102,536)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	7	3,505	-	-	3,505
ნაშთი 2018 წლის 31					
დეკემბრის მდგომარეობით		56,909	29,532	(750,861)	(664,420)
წლის მოგება / (ზარალი)		-	-	(182,509)	(182,509)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	(182,509)	(182,509)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	7	195	-	-	195
ნაშთი 2019 წლის 31					
დეკემბრის მდგომარეობით		57,104	29,532	(933,370)	(846,734)

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
 ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 29 ივლისს.

დირექტორის თანაშემწე

საბა პოპიაშვილი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

გოჩა ჩაგელიშვილი

ბუღალტერი

ირაკლი გოგია

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

‘000 ლარი	გ/შ	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		(182,509)	(102,536)
<i>კორექტირება:</i>			
ცვეთა	3	1,633	1,582
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა (სარგებელი)/ზარალი	12	151,764	68,135
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	3	-	3,505
საპროცენტო ხარჯი	9	9,252	10,965
		(19,860)	(18,349)
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგებში		-	-
მისაღებ დამატებითი ღირებულების გადასახადში (დღგ)	6	10,727	(6,698)
საგადასახადო ვალდებულებაში, გარდა მოგების გადასახადისა		1,051	939
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(272)	15
მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	4	2,919	4,361
მოგების გადასახადამდე ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(5,435)	(19,732)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(22,561)	(36,382)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(22,561)	(36,382)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი სესხებიდან	9	30,028	55,524
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		30,028	55,524
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		2,032	(590)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		3,224	3,317
წმინდა კურსთაშორისი სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		222	497
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	5	5,478	3,224

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 29 ივლისს.

დირექტორის თანაშემწე	საბა პოპიაშვილი	_____
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	გოჩა ჩაგელიშვილი	_____
ბუღალტერი	ირაკლი გოგია	_____

შპს მარაბდა-კარნახის რკინიგზა
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

‘000 ლარი	გ/შ	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		(182,509)	(102,536)
<i>კორექტირება:</i>			
ცვთა	3	1,633	1,582
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა (სარგებელი)/ზარალი	12	151,764	68,135
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	3	-	3,505
საპროცენტო ხარჯი	9	9,252	10,965
		(19,860)	(18,349)
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგებში		-	-
მისაღებ დამატებითი ღირებულების გადასახადში (დღგ)	6	10,727	(6,698)
საგადასახადო ვალდებულებაში, გარდა მოგების გადასახადისა		1,051	939
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(272)	15
მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	4	2,919	4,361
მოგების გადასახადამდე ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(5,435)	(19,732)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(22,561)	(36,382)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(22,561)	(36,382)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი სესხებიდან	9	30,028	55,524
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		30,028	55,524
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		3,224	3,317
წმინდა კურსთაშორისი სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		222	497
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	5	5,478	3,224

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 29 ივლისს.

დირექტორის თანაშემწე

საბა პოპიაშვილი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

გოჩა ჩაგელიშვილი

ბუღალტერი

ირაკლი გოგია

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (საიდენტიფიკაციო კოდი: 204522436). „კომპანია“ დაარსდა 2007 წელს და 100% წილის მფლობელია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. მისი იურიდიული მისამართია: დავით აღმაშენებლის გამზ. №150, თბილისი, 0112, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა პირდაპირი სარკინიგზო ხაზის გაყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზერბაიჯანისა და თურქეთის სარკინიგზო ქსელებს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სარკინიგზო ინფრასტრუქტურა შენდება (შემდგომში „პროექტი“) და მისი ექსპლუატაციაში შესვლა იგეგმება პროექტის დასრულების შემდეგ. პროექტის დასრულების საწყისი თარიღი იყო 2014 წელი. კონტრაქტორებთან გაფორმებული საბოლოო შეთანხმების მიხედვით, პროექტის დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 31 დეკემბერი. პროექტის დასრულების თარიღი გადავადდა რამდენიმე ძირითადი მიზეზების გამო, კერძოდ: კლიმატური პირობები, რთული რელიეფი, მყარი ნიადაგი და სხვა ფორს-მაჟორული სიტუაციები. პროექტის მხარდამჭერები არიან საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობები შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში:

ა) შეთანხმება "ბაქო-თბილისი-ყარსის" ახალი სარკ. ხაზის პროექტის რეალიზ. ფარგლებში მარაბდა-თურქეთის რესპ. საზღვრამდე (კარწახი) სარკ. მონაკვეთის ფინანსირების, პროექტირების, მშენებლობის, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისა და ექსპ. პირობებისა და პრინციპების შესახებ, რომლის მხარეებსაც წარმოადგენენ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობები;

ბ) შეთანხმება ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის შესახებ, რომლის მხარეებსაც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობა, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა;

გ) შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოში „ბაქო-თბილისი-ყარსის“ ახალი სარკინიგზო ხაზის „ახალქალაქი-ყარსის“ მონაკვეთზე დაგეგმილი სარკინიგზო გვირაბის მშენებლობის ხელშეწყობის შესახებ.

პროექტის დაფინანსება ხდება 2011 წლის 1 ივლისის საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად რომლის მხარეებიც არიან ერთი მხრივ შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ და მეორეს მხრივ „აზერბაიჯანის მაღალი ტექნოლოგიების, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სამინისტრო“, ლსს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი“ და სს „პაშა ბანკი საქართველო“.

პროექტის დასრულების თარიღის გადავადება 2020 წლის 31 დეკემბრამდე და გადავადების მიზეზები შეთანხმებული და ნებადართულია საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კომპანიამ ჩაატარა ტესტი გაუფასურებაზე დაუმთავრებელ მშენებლობასთან მიმართებით. ანაზღაურებად ღირებულებად განისაზღვრა მომავალი ათი წლის ფულადი შემოსავლების დისკონტირებული ღირებულება. გაუფასურებაზე ტესტის შედეგად გამოვლინდა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობა არ არის გაუფასურებული, რადგან მისი საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ, იხილეთ მე-3 განმარტებითი შენიშვნა.

კომპანიის კაპიტალის 100%-ის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია დგას გარკვეული ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე, რაც ქვემოთ არის აღწერილი:

როგორც ეს აღწერილია 1-ელ განმარტებით შენიშვნაში კომპანიამ ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოახერხა პროექტის დასრულება თავდაპირველად განსაზღვრულ ვადებში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროექტის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 74% (შესრულების პროცენტული მაჩვენებელი თითოეული სარკინიგზო მონაკვეთისთვის იხილეთ მე-3 შენიშვნაში).

კომპანია განაგრძობს ზარალის დაგროვებას, რის შედეგადაც მისი დაგროვილი ზარალი და უარყოფითი კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 933,370 ათას ლარს და 846,734 ათას ლარს (რომელიც ძირითადად გამოწვეულია 2007 წლიდან დაგროვილი საკურსო სხვაობით).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით:

მენეჯმენტი გეგმავს კომპანიის ადმინისტრაციული და საოპერაციო დანახარჯების შემცირებას, თუმცა არა კომპანიის ეფექტიანობის ხარჯზე.

კომპანიამ წინა წელთან შედარებით ადმინისტრაციული და საოპერაციო დანახარჯები შემცირა 2,1%-ით.

პროექტი სრულად ფინანსდება საკრედიტო ხაზის მეშვეობით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუთვისებელი დარჩა 109,742 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ფულადი რესურსი.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

როგორც 1-ელ შენიშვნაშია აღწერილი პროექტი მხარდაჭერილია საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მთავრობების მიერ. პროექტს აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა.

ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს კომპანიას ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ამ შემასუსტებელი გარემოებების გათვალისწინებით, მენეჯმენტი დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ დანერგა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი, რომელიც სავალდებულო იყო მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისათვის.

კომპანიას არ დაუწერგავს ახალი და შესწორებული სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისათვის არ იყო სავალდებულო.

ინფორმაცია ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენების შესახებ იხილეთ ქვემოთ:

ფასს 16 იჯარა

კომპანიამ ფასს 16 დანერგა 2019 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული სტანდარტი ცვლის ბასს 17 იჯარას და მეიჯარისათვის აუქმებს საოპერაციო და ფინანსური იჯარების კლასიფიკაციას. მოკლევადიანი იჯარისა და იმ იჯარის გარდა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება აქტივის გამოყენების უფლება და მისი შესაბამისი საიჯარო ვალდებულება. წრფივი საოპერაციო იჯარის ხარჯი იცვლება აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯით (რომელიც საოპერაციო ხარჯების ნაწილში კლასიფიცირდება) და იჯარის ვალდებულებაზე აღიარებული საპროცენტო ხარჯით (რომელიც ფინანსური ხარჯების ნაწილში კლასიფიცირდება).

იჯარის ადრეული პერიოდებისათვის მასთან დაკავშირებული ხარჯები ფასს 16-ის მიხედვით მეტია წინამორბედ ბასს 17-თან შედარებით, თუმცა EBITDA (მოგება საპროცენტო ხარჯის, მოგების გადასახადისა და ცვეთის ხარჯამდე) უმჯობესდება გამომდინარე იქედან, რომ საოპერაციო ხარჯი ნაცვლდება საპროცენტო ხარჯითა და ცვეთის ხარჯით მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის საპროცენტო ხარჯი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო საქმიანობა, ხოლო იჯარის გადახდები განცალკევებულად განიმარტება საფინანსო საქმიანობაში. სტანდარტი მნიშვნელოვნად არ ცვლის იჯარის აღრიცხვის პრინციპებს მოიჯარისათვის.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

დანერგვის გავლენა

2019 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჰქონია მიღებული ან გაცემული იჯარები.

ფასს 16 ამოქმედებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2.1. სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები, მიწის გარდა, შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მიწა შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას. თვითწარმოებული აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამიზნულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს და ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან ამოღების ღირებულებას, ასევე კაპიტალიზირებულ საპროცენტო ხარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რაც დაკავშირებული აღჭურვილობის ფუნქციონალურობის განუყოფელი ნაწილია, კაპიტალიზირდება როგორც ამ აღჭურვილობის ნაწილი.

როდესაც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (მთავარ კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, გაყიდვებიდან მიღებული ამონაგების ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით და აღიარდება მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯის სახით ნეტო საფუძველზე.

ii. შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- | | |
|------------------------|------------|
| • შენობები; | 40 წლამდე |
| • ნაგებობები | 30 წლამდე; |
| • სხვა მოწყობილობები | 15 წლამდე. |
| • ავტომობილები; | 10 წლამდე; |
| • საოფისე აღჭურვილობა; | 7 წლამდე; |

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულება კორექტირდება, რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივებს აფასებს მომდევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამება განმარტებას, რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას. სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- **ამორტიზირებული ღირებულება:** ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- **რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით:** ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- **რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით:** აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში, ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

გაუფასურება

კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიაწიოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

(გ) ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

(დ) ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

(ე) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

(ვ) დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

(ზ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.87	3.21
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2.82	3.16
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2.59	2.99

(თ) მოგების გადასახადი; გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

თავდაპირველი აღიარებისას გამოწვევის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201 მუხლის (ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგრის ობიექტი) მიხედვით ქონების გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე, ამასთან პირი ქონების გადასახადის გადამხდელია მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ ქონების გადასახადით დაბეგრის ობიექტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით).

(ი) ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

(კ) ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯს ფინანსურ ვალდებულებებზე;
- ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხულ კურსთაშორის სხვაობას.

საპროცენტო ხარჯი აღიარდება მისი წარმოშობისთანავე მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გარდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსგან (ამჟამად აზერბაიჯანის მაღალი ტექნოლოგიების, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სამინისტრო) მიღებული სესხებისა. სესხის სახით მიღებული სახსრები, რომლებიც პირდაპირ არ მიეკუთვნება საკვალიფიკაციო აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კურსთაშორისი სხვაობებით გამოწვეული მოგების ან ზარალის ჩვენება ხდება ნეტო საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან როგორც ფინანსური ხარჯი იმის მიხედვით, იმყოფება თუ არა კურსთაშორისი სხვაობა წმინდა სარგებლის ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

2.2. ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვევო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვევო გარიგებისთვის.

ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვევო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე მოქმედი შეფასებებისა და დაშვებების მომზადებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ. მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, რომელიც მენეჯმენტის აზრით, გონივრული უნდა იყოს მიმდინარე პირობებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო მომსახურების ვადას და მასთან დაკავშირებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს საკუთარი ძირითადი საშუალებებისა და განსაზღვრული ვადის არამატერიალური აქტივებისათვის. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური სიახლეების ან

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

სხვა მოვლენების შედეგად, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსაურების ვადები ნაკლებია, ვიდრე ადრე შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ჩამოიწერება ტექნიკურად მოძველებული ან არა-სტრატეგიული აქტივები, რომლებიც მიტოვებულია ან გაიყიდა.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილისა და სხვა განუსაზღვრელი ვადის არამატერიალური აქტივების გარდა

კომპანია აფასებს არა ფინანსური აქტივების გაუფასურებას, გარდა გუდვილისა და სხვა განუსაზღვრელი ვადის არამატერიალური აქტივებისგან, თითოეული საანგარიშო თარიღისათვის კომპანიისთვის სპეციფიკური პირობების და კონკრეტული აქტივის შეფასებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფასურება. თუ არსებობს გაუფასურების ზარალი, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი თანხა. ეს მოიცავს სამართლიანი ღირებულების შემცირებას ხარჯების ან გამოყენების ღირებულების გამოთვლებით, რომელიც მოიცავს უამრავ საკვანძო შეფასებას და ვარაუდებს.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

3. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანები, საოფისე აღჭურვილობა და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,622	62,614	2,145	1,036,503	1,124,884
შესყიდვები	3	4,296	9	92,117	96,425
გაყიდვები	-	(94)	(49)	(3,552)	(3,695)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,625	66,816	2,105	1,125,068	1,217,614
შესყიდვები	-	-	21	85,620	85,641
კაპიტალში შემოტანილი ქონება	61	133	-	-	194
გაყიდვები	-	-	(5)	-	(5)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,686	66,949	2,121	1,210,688	1,303,444
ცვეთა					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(11,682)	(931)	-	(12,613)
ცვეთის ხარჯი	-	(1,545)	(36)	-	(1,581)
გაყიდვებზე ელიმინირებული ცვეთა	-	23	-	-	23
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(13,204)	(967)	-	(14,171)
ცვეთის ხარჯი	-	(1,580)	(53)	-	(1,633)
გაყიდვებზე ელიმინირებული ცვეთა	-	-	4	-	4
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(14,784)	(1,016)	-	(15,800)
საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,622	50,932	1,214	1,036,503	1,112,271
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,625	53,612	1,138	1,125,068	1,203,443
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,686	52,165	1,105	1,210,688	1,287,644

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ხარჯს. ისტორიული ხარჯი განისაზღვრა მშენებლობის ღირებულებით, ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯით და ყველა დაკავშირებული დანახარჯით, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ. 2019 წელს 61,855 ათასი ლარის ოდენობის (2018 წელს: 51,285 ათასი ლარი) საპროცენტო ხარჯი დაკაპიტალიზირდა, როგორც ძირითადი საშუალება.

კაპიტალიზაციისათვის განკუთვნილ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების განსაზღვრისას გამოყენებული კაპიტალიზაციის ნორმა „ა“ ტრანშისათვის არის 81%, ხოლო „ბ“ ტრანშისათვის 83%.

2019 წლის განმავლობაში დაუთავრებელი მშენებლობის შესყიდვები 1,225 ათასი ლარის ოდენობით შეადგენს ძირითადი საშუალებებისათვის გადახდილი ავანსების გაქვითვის შედეგად მიღებულ ძირითად საშუალებებს.

დაუმთავრებელი მშენებლობის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

'000 ლარი	2019	%-ული შესრულება	2018	%-ული შესრულება
პირველი ეტაპი: მარაბდა - თეთრიწყარო	136,114	92%	135,921	92%
მოსამზადებელი სამუშაოები	163	100%	163	100%
მიწის ვაკისი	11,948	96%	11,948	96%
გზაგამტარი და წყალგამტარი	2,684	94%	2,684	94%
ლიანდაგები	28,901	91%	28,901	91%
სიგნალიზაცია და კავშირგაბმულობა	14,803	96%	14,788	96%
შენობები და ნაგებობები	2,230	97%	2,224	96%
ენერგომომარაგება	37,761	93%	37,761	93%
წყალმომარაგება, ცენტრალური გათბობა	478	80%	478	80%
ტესტირება და სხვა მიკუთვნებადი ხარჯები	5,233	80%	5,207	80%
საპროცენტო ხარჯის კაპიზალიცია	31,913		31,767	
მეორე ეტაპი: თეთრიწყარო - წალკა	218,255	86%	216,883	86%
მოსამზადებელი სამუშაოები	77	99%	77	99%
მიწის ვაკისი	20,559	92%	20,559	92%
გზაგამტარი და წყალგამტარი	13,709	83%	13,709	83%
ლიანდაგები	54,604	89%	54,604	89%
სიგნალიზაცია და კავშირგაბმულობა	22,142	95%	21,945	94%
შენობები და ნაგებობები	2,187	25%	2,095	24%
ენერგომომარაგება	44,745	88%	44,735	88%
წყალმომარაგება, ცენტრალური გათბობა	705	37%	705	37%
ტესტირება და სხვა მიკუთვნებადი ხარჯები	7,182	79%	7,118	78%
საპროცენტო ხარჯის კაპიზალიცია	52,345		51,336	
მესამე ეტაპი: წალკა - ახალქალაქი	346,843	84%	334,610	83%

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

'000 ლარი	2019	%-ული შესრულება	2018	%-ული შესრულება
მოსამზადებელი სამუშაოები	18	30%	18	30%
მიწის ვაკისი	24,238	88%	24,238	88%
გზაგამტარი და წყალგამტარი	50,054	78%	47,980	76%
ლიანდაგები	75,193	88%	74,938	87%
სიგნალიზაცია და კავშირგაბმულობა	27,324	93%	26,682	91%
შენობები და ნაგებობები	1,841	56%	1,841	56%
ენერგომომარაგება	73,849	89%	73,379	88%
წყალმომარაგება, ცენტრალური გათბობა	75	11%	75	11%
ტესტირება და სხვა მიკუთვნებადი ხარჯები	3,639	30%	3,574	29%
საპროცენტო ხარჯის კაპიზალიცია	90,612		81,885	
მეოთხე ეტაპი: ახალქალაქი - კარწახი	509,476	62%	437,654	59%
ახალქალაქის სადგური	242,202	56%	222,521	52%
მოსამზადებელი სამუშაოები	1,261	83%	1,261	83%
მიწის ვაკისი	59,274	88%	57,117	86%
გზაგამტარი და წყალგამტარი	4,434	48%	4,434	48%
ლიანდაგები	63,107	61%	60,367	59%
სიგნალიზაცია და კავშირგაბმულობა	34,395	53%	27,516	45%
შენობები და ნაგებობები	31,625	30%	26,622	26%
ენერგომომარაგება	32,922	71%	32,711	71%
წყალმომარაგება, ცენტრალური გათბობა	12,744	50%	10,350	43%
ხიდები, დროებითი შენობები და სხვა კონსტრუქციები	2,248	54%	2,026	50%
ტესტირება და სხვა მიკუთვნებადი ხარჯები	192	2%	117	1%
ახალქალაქის ვაგზალი	14,283	98%	14,283	99%
გვირაბი	62,271	89%	62,271	89%
სადგური კარწახი	21,075	71%	21,019	71%
თოვლდაცვა	19,709	72%	19,706	72%
დამატებითი მასალები	776	41%	776	41%
წყალმომარაგება	650	5%	540	4%
ხიდი კირბულახის მდინარეზე	12,420	100%	12,420	100%
საპროცენტო ხარჯის კაპიზალიცია	136,090		84,118	
სულ დაუმთავრებელი მშენებლობა	1,210,688		1,125,068	

2019 წლის 16 იანვარს შევიდა ცვლილებები კონტრაქტორებთან გაფორმებულ N136 (ახალქალაქის ვაგზალი) და N182 (ახალქალაქის სადგური, ტესტირება და სხვა მიკუთვნებადი ხარჯები) ხელშეკრულებებში, კერძოდ: N136 ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 132,303 აშშ დოლარით; N182 ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა 132,303 აშშ დოლარით.

კომპანიამ ჩაატარა ტესტი გაუფასურებაზე დაუმთავრებელ მშენებლობასთან მიმართებით. ანაზღაურებად ღირებულებად განისაზღვრა მომავალი ათი წლის

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფულადი შემოსავლების დისკონტორებული ღირებულება. გაუფასურებაზე ტესტის შედეგად გამოვლინდა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობა არ არის გაუფასურებული, რადგან მისი საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

2008 წელს, დამფუძნებელმა კომპანიას, კაპიტალში შენატანის სახით, გადასცა 82,936 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, სალიანდაგო ხაზი, რომელიც შედგებოდა რელსებისა და შპალებისაგან. გადმოცემის შემდეგ, კომპანიამ განახორციელა ამ ძირითადი საშუალებების დემონტაჟი და მისცა კონტრაქტორებს უფლება, შესაბამისი საგარანტიო პირობების დაცვით, გამოეყენებინათ დემონტირებული ძირითადი საშუალებებისგან მიღებული მარაგები (რელსები და შპალები) მშენებლობის პროცესში. აღნიშნული საგარანტიო პირობების მიხედვით, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასრულების შემდეგ ჩატარდება გადაცემული მარაგების სრული ინვენტარიზაცია და აღმოჩენილი სხვაობები ანაზღაურდება კონტრაქტორების მიერ.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, მარაგებში რეკლასიფიკაციის ნაცვლად არ ჩამოეწერა აღნიშნული აქტივები ძირითადი საშუალებებიდან და გაეგრძელებინა მათზე ცვეთის დარიცხვა.

2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები არ არის გამოყენებული მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

4. ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები, მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 144,435 ათასი ლარის ოდენობის (2018 წელს: 145,852 ათასი ლარი) ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები წარმოადგენს ორი მთავარი შემსრულებლისთვის გადახდილ ავანსებს, რომლებიც ახორციელებენ სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მშენებლობას. ავანსები გადახდილია 2008 – 2017 წლების პერიოდში. 2019 და 2018 წლების განმავლობაში გადახდილი ავანსის და გადასახდელი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

‘000 ლარი	ლარი		დოლარი	
	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	144,435	145,852	84,110	84,965
	(9,560)	(6,635)	(3,334)	(2,479)

2019 წლის მარტიდან ძირითადი საშუალებებისათვის გადახდილი ავანსის გაქვითვის მექანიზმი შეწყდა, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია კონტრაქტორების მიერ შესრულებულ სამუშაოებს აანაზღაურებს სრულად მანამ, სანამ ბიუჯეტით დარჩენილი სამუშაოების მოცულობა არ მიაღწევს ძირითადი საშუალებებისათვის გადახდილი ავანსების ნაშთს - ამის შემდგომ, მთლიანი შესრულებული სამუშაოების ღირებულება გამოიქვითება ავანსებიდან.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები მოიცავს კონტრაქტორების მიერ საანგარიშგებო წლის ბოლოს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, რომლის ანაზღაურებაც ვერ მოესწრო 2019 წლის 31 დეკემბრისათვის.

2019 და 2018 წლების განმავლობაში მოძრაობა ნაჩვენებია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2017	162,415
წლის განმავლობაში დაქვითვა	(42,526)
წლის განმავლობაში გადახდილი თანხა	25,963
31 დეკემბერი 2018	145,852
წლის განმავლობაში დაქვითვა	(1,461)
წლის განმავლობაში გადახდილი თანხა	44
31 დეკემბერი 2019	144,435

კონტრაქტორებს წარმოდგენილი აქვთ საავანსო გარანტიები (საბანკო გარანტიების სახით), რომელთა მოქმედების ვადაც არის 2020 წლის 15 აპრილი. ღირებულება აღემატება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსების არსებულ ნაშთს და კომპანია არ გადაიხდის იმაზე მეტ თანხას ავანსის სახით, ვიდრე ეს საავანსო გარანტიაშია წარმოდგენილი.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	5,478	3,224
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	5,478	3,224

ფული და ფულის ექვივალენტები სრულად განთავსებულია საბანკო მიმდინარე ანგარიშებზე.

ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს არ ერიცხება სარგებელი.

ფულისა და ფულის ექვივალენტების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის არსებითი სხვაობა.

კომპანიის დამოკიდებულება სავალუტო რისკის მიმართ და ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის მგრძნობელობის ანალიზი განმარტებულია შენიშვნაში 13.

6. საგადასახადო აქტივები

საგადასახადო აქტივი 97,917 ათასი ლარის ოდენობით (2018: 108,644 ათასი ლარი) ჩასათვლელ დღე-ს რომელსაც კომპანია ითვლის ყოველწლიურად მიმდინარე გადასახდელების შესამცირებლად. კომპანიას გადაწყვეტილი აქვს საგადასახო აქტივის სრულად გამოყენება გადასახდელების შესამცირებლად.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

7. კაპიტალი და კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის 100%-ის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით.

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ასახულ ნომინალურ თანხას.

‘000 ლარი	საწყისი ბალანსი	არაფულადი შენატანები	საბოლოო ნაშთი
31 დეკემბერი 2017	53,183	221	53,404
ბრუნვა წლის განმავლობაში	-	3,505	3,505
31 დეკემბერი 2018	53,183	3,726	56,909
ბრუნვა წლის განმავლობაში	-	195	195
31 დეკემბერი 2019	53,183	3,921	57,104

(ბ) დამატებით შეტანილი კაპიტალი

სხვაობა მესაკუთრეს მიერ შეტანილი ან მესაკუთრისთვის განაწილებული არაფულადი აქტივებისთვის რეგისტრირებულ საწესდებო კაპიტალის ნომინალურ თანხასა და შეტანილი ან განაწილებული აქტივების რეალურ ღირებულებას შორის აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. 2019 და 2018 წლებში კომპანიის დამატებით შეტანილი კაპიტალის მუხლში მოძრაობა არ ყოფილა. ნაშთის ოდენობა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 29,532 ათას ლარს.

(გ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვი იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც ნაჩვენებია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კომპანიის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 და 2018 წლების განმავლობაში კომპანიას არ გაუცია დივიდენდები.

(დ) კაპიტალის მართვა

კომპანიას კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა არ გააჩნია, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. ამის მიღწევა ძირითადად ხდება ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება გრძელვადიანი სესხებით და ხორციელდება კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარის მხარდაჭერით.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

წლის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია ცვლილებები კაპიტალის მართვის მეთოდში. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

8. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები შედგება გადასახდელი ქონების გადასახადისგან, რომლის ნაშთიც 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შესაბამისად 12,219 ათას ლარს და 11,390 ათას ლარს.

9. მიღებული სესხები

წინამდებარე შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის პროცენტის მატარებელი სესხების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. მეტი ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკის მიმართ კომპანიის განფენილობაზე იხილეთ შენიშვნაში 13.

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტროსგან მიღებული სესხი - „ა“ ტრანში	626,560	579,454
ძირითადი თანხა	573,540	535,320
გადასახდელი პროცენტი	53,020	44,134
აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტროსგან მიღებული სესხი - „ბ“ ტრანში	1,732,654	1,527,255
ძირითადი თანხა	1,334,221	1,216,862
გადასახდელი პროცენტი	398,433	310,393
სულ მიღებული სესხები	2,359,214	2,106,709

სესხები მიღებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსგან (ამჟამად აზერბაიჯანის მაღალი ტექნოლოგიების, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სამინისტრო). საკრედიტო ხაზი შეადგენს 775,000 ათას აშშ დოლარს და მისი ერთადერთი დანიშნულება პროექტის და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარდაუვალი საოპერაციო ხარჯის დაფინანსებაა.

200,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ტრანში „ა“ ატარებს 1% საპროცენტო განაკვეთს და მთლიანად გამოყენებულია 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

575,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ტრანში „ბ“ ატარებს 5%-იან საპროცენტო განაკვეთს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აუთვისებელი დარჩა 109,742 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ფულადი რესურსი საკრედიტო ხაზის ტრანში „ბ“ ფარგლებში (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 120,371 ათასი აშშ დოლარი).

2019 წელს საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 9,252 ათასი ლარი (2018 წელს: 10,965 ათასი ლარი). ინფორმაცია საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციის შესახებ იხილეთ შენიშვნაში 3.

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ ყველა საკრედიტო ვალდებულება გადაეცემა ერთობლივ საწარმოს, რომელიც შეიქმნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სარკინიგზო უბნის ექსპლუატაციაში შესვლამდე 3 თვით ადრე.

კრედიტის დაფარვა განხორციელდება სარკინიგზო უბნის ექსპლუატაციის უფლების მიღებისა და ყველა საკრედიტო ვალდებულების ერთობლივი საწარმოსადმი გადაცემის შემდეგ. (პროექტის დასრულების საბოლოო თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 31 დეკემბერი)

კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს სარკინიგზო უბნის ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობით დარჩენილი თავისუფალი ფულადი სახსრებით, რომლის მოცულობაც განისაზღვრება საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

ანგარიშგების წარდგენის მომენტისათვის არც საკოორდინაციო საბჭოს მიერ და არც კომპანიის პარტნიორის მიერ არ არის ფორმალურად გაწერილი, თუ როგორ მოხდება მთლიანი საკრედიტო ვალდებულების გადაცემა “ერთობლივ საწარმოზე” - პროექტის დასრულების ვადებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული საკითხის დეტალური განხილვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ შეუძლია სათანადო სიზუსტით განსაზღვროს მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გადინების დრო და ოდენობა და ამიტომ კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ამ სესხების ნომინალური თანხებით აღრიცხვის შესახებ.

10. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

‘000 ლარი	2019	2018
ქონების გადასახადი ხარჯი	(13,645)	(12,816)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(1,408)	(1,468)
სულ გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(15,053)	(14,284)

11. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

‘000 ლარი	2019	2018
ხელფასები	(4,221)	(3,779)
დაზღვევა	(116)	(114)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4,337)	(3,893)

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

12. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა სარგებელი/(ზარალი)

‘000 ლარი	2019	2018
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული სარგებელი	71,912	134,414
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	(223,676)	(202,052)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა სარგებელი/(ზარალი)	(151,764)	(67,638)

კურსთაშორისი სხვაობა ასახავს სასესხო ვალდებულებების გადაფასების ეფექტს, რომელმაც 2019 წლისთვის შეადგინა (151,371) ათასი ლარი (2018: (68,047) ათასი ლარი).

კურსთაშორისი სხვაობა ასახავს ფულისა და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტს, რომელმაც 2019 წლისთვის შეადგინა 222 ათასი ლარი (2018: 497 ათასი ლარი).

13. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, გარდა მიღებული სესხებისა, არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან. კომპანიას არ შეუძლია შეაფასოს თავისი სესხების რეალური ღირებულება მე-9 შენიშვნაში აღწერილი საკითხის გამო.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- **საკრედიტო რისკი:** ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	5,478	3,224
სულ ფინანსური აქტივები	5,478	3,224
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	2,359,214	2,106,709
სავაჭრო ვალდებულებები	1,227	861
მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	9,560	6,635
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,370,001	2,114,205

i. რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა იქმნება კომპანიის წინაშე მდგარი რისკების იდენტიფიცირებისა და გაანალიზების მიზნით, სათანადო რისკების ლიმიტებისა და კონტროლის დასადგენად, რისკების მონიტორინგისა და ლიმიტების დაცვაზე. რეგულარულად განიხილება რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები, რათა ასახოს ცვლილებები ბაზრის პირობებში და კომპანიის საქმიანობაში. კომპანია, ტრენინგის და მენეჯმენტის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით, მიზნად ისახავს მოწესრიგებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შემუშავებას, რომელშიც ყველა თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ როლებს და მოვალეობებს.

ii. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან საბანკო ნაშთები განთავსებულნი საქართველოს წამყვან ბანკებში, რომელთა შეფასების რეიტინგი (Fitch-ის მიხედვით) არის შეზღუდული დეფოლტი (restricted default (RD)).

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

iii. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

კომპანიას აქვს ვალდებულება, შეიძინოს კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებები.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების პერიოდისათვის კომპანია არ ახდენს ფულადი სახსრების გენერირებას და იღებს დაფინანსებას გრძელვადიანი სესხების სახით - საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მთავრობებს შორის დადებული სამმხრივი შეთანხმების თანახმად მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა სრულად ფინანსდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილი საკრედიტო ხაზის მეშვეობით.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა სესხებზე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, კომპანიას აქვს 97,917 ათასი ლარის (2018: 108,644 ათასი ლარი) ოდენობის ანაზღაურებადი დღგ, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას საგადასახადო ორგანოსაგან.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის განფენილობა ლიკვიდურობის რისკზე არ არის არსებითი, ვინაიდან, სესხების სახელშეკრულებო დაფარვის ვადებისა და ხელმძღვანელობის შეფასებების გათვალისწინებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსთვის სესხის დაფარვა არ არის მოსალოდნელი ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 5 წლის განმავლობაში.

ლიკვიდურობის ცხრილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

‘000 ლარი	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	5,478	-	-	5,478
სულ ფინანსური აქტივები	5,478	-	-	5,478
მიღებული სესხები	-	-	2,359,214	2,359,214
სავაჭრო ვალდებულებები	1,227	-	-	1,227
მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	9,560	-	-	9,560
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,787	-	2,359,214	2,370,001
ლიკვიდურობის პოზიცია	(5,309)	-	(2,359,214)	(2,364,523)

ლიკვიდურობის ცხრილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

'000 ლარი	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	3,224	-	-	3,224
სულ ფინანსური აქტივები	3,224	-	-	3,224
მიღებული სესხები	-	-	2,106,709	2,106,709
სავაჭრო ვალდებულებები	861	-	-	861
მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები	6,635	-	-	6,635
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,496	-	2,106,709	2,114,205
ლიკვიდურობის პოზიცია	(4,272)	-	(2,106,709)	(2,110,981)

iv. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ აქტივებს.

საკრედიტო რისკის განფენილობა

ვალუტის რისკის გათვალისწინებით, მენეჯმენტი განსაზღვრავს შეზღუდვას ვალუტის ზემოქმედების დონის მიხედვით და მთლიანობაში, კომპანიის უცხოური ვალუტის რისკის განფენილობა იყო შემდეგი:

2019 წლის 31

დეკემბერი

'000 ლარი	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	5,438	(2,368,532)	(2,363,095)
ევრო	3	-	3

2018 წლის 31

დეკემბერი

'000 ლარი	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	3,194	(2,113,122)	(2,109,928)
ევრო	4	-	4

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები სრულად მოიცავს ფულსა და ფულის ექვივალენტებს, ხოლო ფინანსური ვალდებულებები მოიცავს

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

მიღებულ სესხებს 2,358,972 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და მშენებლობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს 9,560 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

სენსიტიურობის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგების და ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო კურსის გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე, რომელიც გამოიყენება ბალანსის თარიღში, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი დარჩებოდა უცვლელი:

31 დეკემბერი 2019	
‘000 ლარი	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(236,309)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	236,309

31 დეკემბერი 2018	
‘000 ლარი	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(210,993)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	210,993

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს ფიქსირებული განაკვეთით არ აღრიცხავს როგორც მოგება ან ზარალში ასახულ რეალურ ღირებულებას, ან როგორც გასაყიდად არსებულს. შესაბამისად, ანგარიშგების თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას არ ექნებოდა გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

14. დაკავშირებული მხარეები

(ა) მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ფლობს და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით.

(ბ) ოპერაციები მმართველ რგოლთან

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში:

‘000 ლარი	2019	2018
ხელფასი და სხვა სარგებელი	863	652

შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

(გ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია ყოველდღიურად ახორციელებს ოპერაციებს რიგ ორგანიზაციებთან, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ინდივიდუალურად ან ერთობლივად აკონტროლებს. კომპანია იყენებს გათავისუფლების პუნქტს ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები, პარაგრაფი 25) მიხედვით, რაც მას საშუალებას აძლევს მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს წარუდგინოს შემცირებული ინფორმაცია ოპერაციების შესახებ.

2019 და 2018 წლის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.

15. გათვალისწინებული გარემოებები და ვალდებულებები

კომპანიას აქვს ვალდებულება, შეიძინოს კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილია ბიუჯეტით განსაზღვრული სამუშაოები 157,723 ათასი აშშ დოლარის მოცულობით. (2018: 167,155 ათასი აშშ დოლარი).

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ.

კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრებაზე, რაც ხელს უშლის ლოგისტიკური ჯაჭვების წარმოქმნასა და ამცირებს საგარეო და საშინაო მოთხოვნილებას. ამასთანავე იზრდება რისკის შეუფასებლობა და გაურკვევლობა მომავლის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლოდროინდელი საშინაო და გლობალური მოვლენები ვირუსის შედეგად არის გამოწვეული, ჩვენ დროულად განვიხილეთ და გადავხედეთ კომპანიის სამომავლო რისკებს. დღეისათვის, ამ კრიზისის გავლენა ადგილობრივ ინდუსტრიასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე, რჩება ბუნდოვანი. შესაბამისად, ფინანსური და საოპერაციო მოქმედებები ერთეულის სამომავლო პერსპექტივაზე ამჟამად ვერ განისაზღვრება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.